განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კულტურის კვლევები, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
16 ოქტომბერი, 2018
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კულტურის კვლევების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ თორია, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა სამსონაძე, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივიერსიტეტის (შემდგომში - თსუ) კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 ECTS კრედიტისგან. აქედან, 65 განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის. 25 ECTS კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, ხოლო დარჩენილი 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. სწავლების ენაა ქართული.
პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა კულტურის კვლევების მაგისტრი. პროგრამის ძირითადი კომპონენტები უზრუნველყოფს განსაზღვრული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პროგრამის განმახორციელებელ კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი არ განხორციელებულა. კულტურის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, ამ შემთხვევაში, არ საჭიროებდა ადგილზე ვიზიტს. კონკრეტულად, ექსპერტებმა განიხილეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების I, II სტანდარტებთან და IV სტანდარტის 4.1 კომპონენტთან. პროგრამის გადამოწმება მოხდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. პროგრამა შეირჩა მონიტორინგის კრიტერიუმის - თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის მიხედვით. კერძოდ, „2016 წლის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, გამოკვეთილია ადამიანური რესურსების ნაკლებობა - ხშირ შემთხვევაში, ერთიდაიგივე პედაგოგი კითხულობს 5-ზე მეტი სასწავლო კურს. მიზანშეწონილია, სწავლის შედეგების საფეხურების მიხედვით განვითარების მიზნების დადასტურებისათვის, შემოწმდეს სამაგისტრო პროგრამაც“.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ლოგიკურად აგრძელებს თსუ ამავე დაწესებულებაში და ფაკულტეტეზე მოქმედ საბაკალავრო (major) პროგრამას კულტურის კვლევებში. პროგრამა მიზნად ისახავს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას. ეს ითვალისწინებს მაგისტრანტისთვის ღრმა ცოდნის მიცემას ამ კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ სფეროში. სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტი თანმიმდევრულად უნდა დაეუფლოს იმ დარგობრივ კომპეტენციებსა და უნარებს, რომლებიც მას კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე. კერძოდ, მაგისტრმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს დარგისთვის სპეციფიური ხერხების, მეთოდების და თეორიული მდგომების საფუძველზე კონკრეტული მაგალითს გარშემო (case studies) ემპირიული მასალის თავმოყრა და ანალიზი.
პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება თსუ-ს მისიას, რომელიც გულისხმობს „ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისას, ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და

გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ სტუდენტის მიერ კულტურული განხვავებების და მრავალფეროვნების აღქმის, გაცნობიერების და პატივისცემის მიღწევაა. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს დაბალანსებული და სტერეოტიპებისგან (ქსენოფობიური, რასისტული, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ.) დაცლილი პოზიციის დაკავება, როგორც აკადემიურ კვლევაში, ასევე ნებმისიერ სფეროში დასაქმების შემთხვევაში.

სწავლის დასრულების შემდეგ, კულტურის კვლევების მაგისტრი ფლობს სასწავლო პროგრამის მიზნებით და გეგმით განსაზღვრულ ღრმა და სისტემურ ცოდნას; შეუძლია კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური სფეროს ძირითად საკვლევ პრობლემებში და ტენდენციებში (ტრადიციული თუ მიმდინარე) ორიენტირება კონკრეტული ისტორიული ეპოქის კონტექსტში. ფართო და კომპლექსურ საკითხთა შორისაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შედარებითი კვლევის საფუძვლები; კულტურული იდენტობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში; კულტურა და მოდერნიზაცია; ინტერკულტურული ურთიერთობები; კულტურა და რელიგია კავკასიაში; ეთნიკური უმცირესობების პრობლემები პოსტსოციალისტურ სივრცეში; კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები; კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა და სხვა გლობალური თუ საქართველოში აქტუალური პრობლემები.

ამ პრობლემატიკის გარშემო თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის კომპლექსური ათვისების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია: კულტურის კვლევების სფეროში ახალი, ორიგინალური საკვლევი საკითხების შემუშავება; სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევის დაგეგმვა, ორგანიზება და შესრულება მათ შორის საველე კვლევის პირობებში; მიღებული შედეგების პრეზენტაცია აკადემიურ სფეროში დამკვიდრებული ზეპირი და წერილობითი გადმოცემის ფორმების, წესების და სტილის დაცვით; მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კულტურის სფეროს დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გააზრება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და პრეზენტაცია ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

კურსდამთავრებული აცნობიერებს პროფესიული პასუხისმგებლობას, იცავს ეთიკის პრინციპებს, როგორც საქმიანობაში, ასევე ინტერ-პერსონალურ ურთიერთობებში. იზიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს, რაც გამოიხატება კულტურათაშორისი, ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის და მრავალფეროვნების, ასევე განსხვავებული აზრისა და არგუმენტების ადეკვატურად აღქმაში და პატივისცემაში. ამგვარად, კურსდამთავრებული აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციებით, ცოდნითა და უნარებით, რომლებიც მას დასაქმების ან/და შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის შესაძლებლობას აძლევს.

სწავლის მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს კვალიფიციური, აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც შედგება ერთი სრული პროფესორის, ორი ასოცირებული პროფესორის, ორი ასისტენტ-პროფესორისა და ერთი მოწვეულო პროფესორისგან . მთლიანობაში პერსონალის რაოდენობა გონივრულ თანაფარდობაშია სტუდენტების რაოდენობასთან. პროგრამის ხელმღვანელი და პერსონალი მუდმივად ზრუნავს აკადემიურ განვითარებაზე. პროფესორები ჩართული არიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო

კვლევით და სასწავლო პროექტებში. მათი კვლევითი საქმიანობის შედეგები ასახულია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ აკადემიურ გამოცემებსა და უცხოელ კოლეგებთან ერთად შექმნილ კრებულებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ✓ დაზუსტდეს, აქვს თუ არა სასწავლო კურსს „საველე პრაქტიკა“ წინაპირობა, რომელიც ფიქსირდება სილაბუსში და არ აისახება სასწავლო გეგმაში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - ✓ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდა, რომელი მიმართულებათშორისი დარგების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს აქვთ პროგრამაზე მიღების შესაძლებლობა, რამაც უფრო გამჭვირვალე გახადა ზოგადად პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

  - ✓ სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსის „საველე პრაქტიკის“ დამატებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი და სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციის (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება) უკეთ მიღწევადი გახდა: თეორიული ცოდნის რეალიზაცია საველე კვლევის პირობებში, ველზე მასალის დამოუკიდებელად მოპოვება სამაგისტრო ნაშრომისათვის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამა ლოგიკურად აგრძელებს თსუ ამავე დაწესებულებაში და ფაკულტეტზე მოქმედ საბაკალავრო (major) პროგრამას კულტურის კვლევებში. პროგრამა მიზნად ისახავს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას. ეს ითვალისწინებს მაგისტრანტისთვის ღრმა ცოდნის მიცემას ამ კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ სფეროში. სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტი თანმიმდევრულად უნდა დაეუფლოს იმ დარგობრივ კომპეტენციებსა და უნარებს, რომლებიც მას კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე. კერძოდ, მაგისტრმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს დარგისთვის სპეციფიური ხერხების, მეთოდების და თეორიული მდგომების საფუძველზე კონკრეტული მაგალითს გარშემო (case studies) ემპირიული მასალის თავმოყრა და ანალიზი. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება თსუ-ს მისიას, რომელიც გულისხმობს „ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისას, ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას“. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ სტუდენტის მიერ კულტურული განხვავებების და მრავალფეროვნების აღქმის, გაცნობიერების და პატივისცემის მიღწევაა. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს დაბალანსებული და სტერეოტიპებისგან (ქსენოფობიური, რასისტული, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ.) დაცლილი პოზიციის დაკავება, როგორც აკადემიურ კვლევაში, ასევე ნებმისიერ სფეროში დასაქმების შემთხვევაში. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია დარგის თავისებურებებისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები • კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების მაგისტრი ფლობს სასწავლო პროგრამის მიზნებით და გეგმით განსაზღვრულ ღრმა და სისტემურ ცოდნას; შეუძლია კულტურის კვლევის ინტერდისციპლინური სფეროს ძირითად საკვლევ პრობლემებში და ტენდენციებში (ტრადიციული თუ მიმდინარე) ორიენტირება კონკრეტული ისტორიული ეპოქის კონტექსტში. ფართო და კომპლექსურ საკითხთა შორისაა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შედარებითი კვლევის საფუძვლები; კულტურული იდენტობის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში; კულტურა და მოდერნიზაცია; ინტერკულტურული ურთიერთობები;

კულტურა და რელიგია კავკასიაში; ეთნიკური უმცირესობების პრობლემები პოსტსოციალისტურ სივრცეში; კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები; კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა და სხვა გლობალური თუ საქართველოში აქტუალური პრობლემები.

ამ პრობლემატიკის გარშემო თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის კომპლექსური ათვისების საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია: კულტურის კვლევების სფეროში ახალი, ორიგინალური საკვლევი საკითხების შემუშავება; სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევის დაგეგმვა, ორგანიზება და შესრულება მათ შორის საველე კვლევის პირობებში; მიღებული შედეგების პრეზენტაცია აკადემიურ სფეროში დამკვიდრებული ზეპირი და წერილობითი გადმოცემის ფორმების, წესების და სტილის დაცვით; მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კულტურის სფეროს დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გააზრება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და პრეზენტაცია ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

კურსდამთავრებული აცნობიერებს პროფესიული პასუხისმგებლობას, იცავს ეთიკის პრინციპებს, როგორც საქმიანობაში, ასევე ინტერ-პერსონალურ ურთიერთობებში. იზიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს, რაც გამოიხატება კულტურათაშორისი, ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის და მრავალფეროვნების, ასევე განსხვავებული აზრისა და არგუმენტების ადეკვატურად აღქმაში და პატივისცემაში.

ამგვარად, კურსდამთავრებული აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციებით, ცოდნითა და უნარებით, რომლებიც მას დასაქმების ან/და შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის შესაძლებლობას აძლევს.

პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან და ასევე გადიან სტაჟირებას სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგნიზაციებში. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავებაში და განვითარებაში ჩართული მხარეებისგან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, უცხოელი სპეციალისტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი) შემდგარმა კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტში (შეიქმნა 2018 წ. 18 თებერვალს). 2018 წლის აპრილში ჩაატარა თსუ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა და 2016-2017 წლების კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მათი პროფილური თუ არაპროფილური დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით, რაც იმაზე მიუთითეს, რომ კულტურის კვლევების სასწავლო-ვლევითი ინსტიტუტი და ზოგადად თსუ საგანგებოდ არის დაინტერესებული კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივით. თუმცა, როგორც აღნიშნულია *კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზში*, პროგრამის განმახორციელებლები საჭიროდ მიიჩნევენ და აპირებენ, ამ მიმართულებით გარკვეული საკითხების გაუმჯობესებას. კერძოდ ასეთ საკითხებად მიჩნეულია „შრომითი ბაზრის დეტალური ანალიზის სიმწირე, დამსაქმებლების არარეგულარული გამოკითხვა, პროგრამაში მათი ინტერესების უფრო ფართოდ ასახვის მიზნით; პროგრამის კურსდამთავრებულებთან კონტაქტის ნაკლებობა და არარეგულარული გამოკითხვა, მათი შრომითი გამოცდილების გათვალისწინების მიზნით“.

პროგრამით განსაზღვრული მიზნების და სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესს აკვირდება შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი მიმდინარეობს სტუდენტების გამოკითხვების, თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი მასალების, სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და პროფესორთა შეფასებების დამუშავებისა და ანალიზით ფორმით. შედეგად, პროფესორებს

ეძლევათ რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ხარისხის, მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფისა და სტუდენტთა შეფასების ფორმების დახვეწის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.
- კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.
- კულტურის კვლევების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი # 1 (17 აპრილი, 2018).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა შემდეგი რეკომენდაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18.07.2012 სხდომის ოქმი): • სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში კონკრეტულად იყოს მითითებული, რომელი მიმართულებათშორისი დარგების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს აქვთ პროგრამაზე მიღების შესაძლებლობა, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის ზოგადად პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტის მიერ გაკეთდა **კულტურის კვლევების** სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი, რომელში დაფიქსირდა ამ რეკომენდაციზე **რეაგირება:** „პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა მიიჩნია, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაში კვალიფიკაციის ფორმულირება ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში, რეგიონმცოდნეობითი პროფილით (ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია...) ცხადყოფს პროგრამაზე როგორც თსუ-ში მოქმედი რეგიონმცოდნეობითი პროფილის პროგრამების (ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია) კურსდამთავრებულების, ისე სხვა უსდ-ებში მოქმედი შესაძლო სხვა რეგიონის შემსწავლელი რეგიონმცოდნეობითი პროფილის პროგრამების კურსდამთვრებულთა

მიღების სურვილს და ამიტომ რეგიონმცოდნეობითი პროფილის კიდევ უფრო მეტი დაკონკრეტება არ მიიჩნია საჭიროდ. კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** • ბაკალავრის ხარისხი კულტურის კვლევებში, ასევე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და მათ დარგებში/ქვედარგებში, განათლებაში, ზოგიერთ მიმართულებათშორის დარგში რეგიონმცოდნეობითი პროფილით (ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია...); ან შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) პროგრამა კულტურის კვლევებში. • ერთიანი სამაგისტრო გამოცდა; • უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით). B2 დონის ცოდნის მისაღწევად არჩევითი საგნების ჩამონათვალში შემოთავაზებულია უცხო ენის ორი სასწავლო კურსი, თითოეული 5 ECTS; ამავე მიზანს ემსახურება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურა. • სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა კულტურის მეცნიერებების საფუძვლებში (ცნებები, მიმართულებები, სკოლები). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის კანონმდებლობის შესაბამისი და ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18.07.2012 სხდომის ოქმი; • კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი. • სასწავლო გეგმა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდა, რომელი მიმართულებათშორისი დარგების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს აქვთ

პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა. წარმოდგენილი რედაქციით, პრაგრამაზე დაშვების წინაპირობა მეტ შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. ამ წინაპირობებით პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას პროგრამაში.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ისეა შედგენილი, რომ უზრუნველყოს მაგისტრანტის მიერ კულტურის კვლევების კომპლექსურ და ინტერდისციპლინურ დარგში ღრმა და მრავალმხრივი ცოდნის შეძენა. სავალდებულო და არჩევითი კურსების ბადე ხელს უწყობს თანმიმდევრულად და საფუძვლიანად მაგისტრანტისთვის თეორიული თვალსაწიერის გაფართოებას; კონკრეტული კულტურული ფენომენის და პრაქტიკის ანალიზის და ინტეპრეტაციის უნარს განვითარებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი ყალიბდება კვალიფიციურ, აუცილებელი კომპტენეციებით აღჭურვილ ანალიტიკოსად და პრაქტიკოსად კულტურის კვლევათა სფეროში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, შინაარსი და სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან. სპეციალობის სავალდებულო კურსები (თითოეული 5 კრედიტი) ჯამში 65 კრედიტს (ECTS) მოიცავს. არჩევითი კურსები 25 კრედიტს (ECTS), ხოლო სამაგისტო ნაშრომი 30 კრედიტს (ECTS) შეადგენს. ძირითადი/სავალდებულო და არჩევითი კურსები ლოგიკურად ავსებენ ერთმანეთს და ფარავენ დარგისთვის და ზოგადად თანამედროვეობისთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებს. პროგრამა ერთდროულად მრავალფეროვანი და დარგისთვის მაპროფილერებელი კურსებისგან შედგება. კურიკულუმში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დარგისთვის დამახასიათებელი ძირითადი ცნებების, ტერმინების და სამუშაო (ოპერაციული) დეფინიციების არსს.

ერთ-ერთი ძირითად მიმართულება თანამედროვე მსოფლიოში და საქართველში კულტურული იდენტობის პრობლემების, კულტურისა და საზოგადოების ტრანსფორმაციის (მოდერნიზაცია) ურთიერთმიმართების შესწავლაა.
ასევე, საგანგებო აქცენტი კეთდება კულტურის პოლიტიკის არსზე, მიზნებზე და საფუძვლებზე; კულტურის პოლიტიკის იმპლემენტაციის სფეროებზე (სამოქალაქო ინტეგრაცია, განათლება, ენობრივი პოლიტიკა, იდენტობის პოლიტიკა, რეგიონული იდენტობების კონსტრუირება და ა.შ.). ამ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ, მეხსიერების პოლიტიკა, რომლის გარშემოც შექმნილი ცალკე კურსი.
პროგრამაში ცალკეული კურსები დალაგებულია დიაქრონული პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელიც თანამედროვე კულტურული ფენომენების ისტორიული გენეალოგიის ჩვენებას ისახავს მიზნად. ამ პერსპექტივაში თავსდება კურსები ბიზანტიური ცივილიზაციისა და ბიზანტინიზმის ფენომენის, აგრეთვე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპასა და მუსლიმურ სამყაროში საზოგადოებრივი ფენების და ინსტიტუტების შესახებ. ამის გარდა, პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს კულტურული რაობის, რეგიონალურ და უფრო ფართო კულტურულ-ცივილიზაციურ კონტექსტში მისი ადგილის და ფუნქციის გააზრების საკითხები (ცივილიზაციათა თეორიის არსი და ძირითადი ასპექტები; დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთმიმართება).
გლობალურ კონტექსტში მულტიკულტურული და მულტიეთნიკური კავკასიის და საქართველოს რეალობას ეხმიანება რიგი კურსებისა, რომლებიც ფარავენ ინტერკულტურული კვლევის საფუძვლებს, კულტურათაშორისი ურთიერთობების შესაძლებლობებს და სირთულეებს; კავკასიაში კულტურებისა და რელიგიების გავრცელების თანამედროვე სურათს და ისტორიული დინამიკას. შემდეგ ეს პრობლემატიკა უფრო ვიწროვდება და ფოკუსში ექცევა ეთნიკური უმცირესობების და კონფლიქტების პრობლემები პოსტ-საბჭოთა კავკასიაში კომპარატივისტულ (შედარება ბალკანეთთან) კონტექსტში და მათი მოგვარების გზები.
ამ მრავალფეროვანი, კომპლექსური საკითხების სწავლების გარდა უმთავრესი ყურადღება ეთმობა მაგისტრანტებისთვის შესაბამისი საფეხურისთვის რელევანტური მეთოდოლოგიის და აკადემიური წერის წესების სწავლებას („სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი“). შედეგად, კურსდამთავრებული შეძლებს თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდების პრაქტიკული გამოყენებას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში; ამის გარდა, მაგისტრანტი შეძლებს თეორიული ცოდნის რეალიზაციას საველე კვლევისა პირობებში.
ბოლოს, მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა
- სილაბუსები
- კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების გავლის შემდეგ მაგისტრი ფლობს ღრმა ცოდნას კულტურის კომპლექსური ფენომენის კვლევების (სკოლები, მიმდინარეობები, თეორიული მიდგომები) და სამეცნიერო აპარატის (ცნებები, ტერმინები, დეფინიციები) შესახებ; ასევე გაცნობიერებული აქვს დარგისთვის ძირეული და ფუნდამენტური პრობლემატიკა, ესენია: კულტურის პოლიტიკის არსი, მიზნები, და გამოვლინებები რეალ-პოლიტიკაში კონკრეტული სივრცისა და პერიოდის კონტექსტში; კულტურული იდენტობის პრობლემები; კულტურა და მოდერნიზაცია; კოლექტიური მეხსიერება და იდენტობის პოლიტიკა; დასავლეთი და აღმოსავლეთის შედარებითი კვლევის საფუძვლები; ინტერკულტურული, ინტერეთნიკური და ინტერრელიგური ურთიერთობების შესაძლებლობები და სირთულეები კავკასიისა და საქართველოს მაგალითებზე. ეთნიკური

უმცირესობები და კონფლიქტები პოსტ-საბჭოთა კავკასიასა და საქართველოში შედარებით პერსპექტივაში და ა.შ. სტუდენტები ცალკე გადიან კურსს „სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი“. შედეგად, ისინი შეძლებენ თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდების პრაქტიკული გამოყენებას სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში; ამის გარდა, მაგისტრანტი შეძლებს თეორიული ცოდნის რეალიზაციას საველე კვლევის პირობებში. სილაბუსებში მითითებულია ამა თუ იმ საკითხის გარემო არსებული ფუნდამენტური, თანამედროვე და აქტუალური ლიტერატურა-სასწავლო მასალა, რომელიც შეესაბამება გაწერილ სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწდომია ა) კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ბ) ამ სასწავლო კურსისათვის მომზადებულ რიდერში – იმავე ბიბლიოთეკაში, გ) სასწავლო მასალაში, რომელიც იტვირთება მისამართზე kulturiskvlevebi.weebly.com, დ) კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ვებ გვერდზე www.culturedialogue.com. იქვე მოიპოვება რიგი უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის შესაბამისი ნაწილების ქართული თარგმანი. კურსებით გათვალისწინებული სწავლების ფორმატი (ლექცია, სემინარი, დისკუსია, პრეზენტაცია და ა.შ.), კრედიტების რაოდენობა და შეფასების წესი შესაბამისობაშია სწავლების შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სილაბუსები; ▪ სასწავლო გეგმა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს მაგისტრანტის შესაბამისი დარგობრივი (სამეცნიერო და პრაქტიკული), ასევე, ტრანსფერული უნარების განვითარებას.

კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18.07.2012 სხდომის ოქმი):

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამაში მკაფიოდ იყოს აღწერილი პრაქტიკული კომპონენტის გამომუშავების ფორმატი (მაგ., საველე პრაქტიკა, ექსპედიცია და ა.შ.), რაც პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია და დიდად შეუწყობს ხელს სწავლის სათანადო შედეგების მიღწევას;

კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტის მიერ გაკეთდა **კულტურის კვლევების** სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი, რომელში დაფიქსირდა ამ რეკომენდაციზე **რეაგირება**:
აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების თანახმად, კულტურის კვლევების ზემოაღნიშნულ სამაგისტრო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კომპონენტის სახით დაემატა „საველე პრაქტიკა“ (5კრედიტი), რაც თეორიული ცოდნს პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო საშუალებაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა
- სილაბუსი
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18.07.2012 სხდომის ოქმი;
- კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დაზუსტდეს, აქვს თუ არა სასწავლო კურსს „საველე პრაქტიკა“ წინაპირობა, რომელიც ფიქსირდება სილაბუსში და არ აისახება სასწავლო გეგმაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსის „საველე პრაქტიკის“ დამატებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი და სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციის (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება) უკეთ მიღწევადი გახდა: თეორიული ცოდნის რეალიზაცია საველე კვლევის პირობებში, ველზე მასალის დამოუკიდებელად მოპოვება სამაგისტრო ნაშრომისათვის.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას **კულტურის კვლევების** სამაგისტრო პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. სწავლის შედეგების მისაღწევად, პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ.

ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.).

პროგრამის სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
თითოეული სასწავლო კურსის სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, სასწავლო კურსის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათებლო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

დაზუსტდეს, აქვს თუ არა სასწავლო კურსს „საველე პრაქტიკა“ წინაპირობა, რომელიც ფიქსირდება სილაბუსში და არ აისახება სასწავლო გეგმაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება, სულ მცირე, ოთხი კომპონენტის მიხედვით.

თითოეულ სილაბუსში გაწერილია სტუდენტის შეფასების სხვადასხვა კომპონენტის პროცენტული / ქულობრივი შეფარდება, მაგ.:

<u>ვარიანტი 1</u>

- პრეზენტაციები და დასწრება/აქტიურობა – 30%;
- 1 შუალედური შემოწმება 30 %
- საბოლოო წერითი გამოცდა – 40%. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (20 ქულა).

<u>ვარიანტი 2</u>

- დასწრება – 5%;
- სემინარულ მეცადინეობებსა და დისკუსიებში მონაწილეობა – 15%;
- 2 შუალედური შემოწმება (კოლოკვიუმი) – 20 + 20 = 40%
- საბოლოო წერითი გამოცდა – 40%. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (20 ქულა).

და ა.შ.

FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

თითოეულ სილაბუსში გაწერილია სტუდენტის შეფასების სხვადასხვა კომპონენტის ქულათა დეტალური რანჟირება, მაგ.:

1. **9-10/19-20/25-30 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.
2. **7-8/15-18/20-24 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
3. **5-6/11-14/15-19 ქულა:** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.
4. **3-4/5-10/10-14 ქულა:** პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

5. **1-2/1-4/1-9 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამმისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.
0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის სემესტრული შეფასება არ უნდა იყოს 11%-ზე ნაკლები.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება ნორმატივების დაცვით, დადგენილი პროცედურების მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, თუმცა სტუდენტებს მთელი სემესტრი აქვთ მასზე სამუშაოდ

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	×			

3. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ ამ დარგში კვალიფიკაციური და შესაბამისი კომპეტენციის, აკადემიური და სამეცნიერო ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც შედგება ერთი სრული პროფესორის, ორი ასოცირებული პროფესორის, ორი ასისტენტ-პროფესორისა და ერთი მოწვეული პროფესორისგან. მთლიანობაში აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამით განსაზღვრული სწავლის მიზნების, სასწავლო გეგმისა და მისაღწევი შედეგების ადეკვატურია. სამაგისტრო პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონდე 12 სტუდენტი (2016 და 2017 წწ. ჩარიცხული) სწავლობს.

პროგრამის ხელმღვანელი და პერსონალი მუდმივად ზრუნავს აკადემიურ განვითარებაზე. პროფესორები ჩართული არიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში. მათი კვლევითი საქმიანობის შედეგები ასახულია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ აკადემიურ გამოცემებსა და უცხოელ კოლეგებთან ერთად შექმნილ კრებულებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში. პროფესორები რეგულარულად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ ფორუმებში (კონფერენციებში,სიმპოზიუმები, დისკუსიები), კითხულობენ ლექციებს სეზონურ სკოლებში საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებში. აღსანიშანვია რომ პროგრამის განმახორციელებლი ოთხი პროფესორი, ევროკავშირისა და ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგების გავლის შედეგად, ინტერკულტურული კომუნიკაციის ტრენერი და ტრენერთა ტრენერი გახდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა • CV • კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი • მონაცემები აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებები (მოწოდებული უსდ მიერ დაამტებითი მოთხოვნის შედეგად)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ არ შეცვლილა პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი აკადემიური პერსონალი შემადგენლობა. ერთმა მათგანმა – ირაკლი ჩხაიძემ, რომელიც იკავებდა პროფესორის ასისტენტის თანამდებობას და დოქტორანტი გახლდათ, წარმატებით დაიცვა სადოქტორო ნაშრომი და მოიპოვა კულტურის კვლევათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, რის შემდეგ დაიკავა ასისტენტ პროფესორის თანამდებობა.
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კულტურის კვლევები, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 24

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	×			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **4.1. ადამიანური რესურსი**	×			

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის]

სახელი, გვარი, ხელმოწერა / მალხაზ თორია/

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის]

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ანა სამსონაძე/